მიტროპოლიტმა ანტონიმ მონაწილეობა მიიღო იერუსალიმის საპატრიარქოს ზეიმში



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.11.2022. 5 ნოემბერს, როცა ეკლესია უფლის ძმის, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსის, წმინდა იაკობ მოციქულის ხსენების დღეს ზემობს, იეუსალიმში მისი სახელობის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღესრულა, რომელსაც წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარესი პატრიარქი თეოფილე III წარუძღვა. მას თანამსახურებდნენ იერუსალიმის საპატრიარქოს ნაზარეთის მიტროპოლიტი კვირიაკე, კაპიტოლიადის მიტროპოლიტი ისიქიოსი, კონსტანტინის მთავარეპისკოპოსი არისტარხე და სებასტიის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი.

რუსეთის ეკლესიიდან მის უნეტარესობას თთანამწირველობა გაუწიეს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველმა დეკანოზმა ნიკოლოზ ბალაშოვმა, სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა დეკანოზმა იგორ იაკიმჩუკმა, იერუსალიმში რუსეთის სულიერი მისიის წევრი მღვდელმონაზონი დომეტიანე (მარქარიანი) და სსკგ-ის თავმჯდომარის თანაშემწე მღვდელი ალექსანდრე ერშოვი.

ტაძარში ლოცულობდნენ საბერძნეთის კონსული იერუსალიმში ე. ვლიორასი, ქრისტიანული კულტურისა და მემკვიდრეობის მხარდაჭერის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ე.ი. სკოპენკო, მრევლისა და მომლოცველთა სიმრავლე რუსეთიდან, საბერძნეთიდან, რუმინეთიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან.

ლოცვები შესრულდა ბერძნულ, არაბულ და საეკლესიო-სლავურ ენებზე.

საღმრთო ლიტურგიის შემდეგ იერარქების, სასულიერო პირების, მონაზვნებისა და ერისკაცების პროცესია უნეტარესი პატრიარქის თეოფილეს მეთაურობით და უფლის ძმის, იაკობ მოციქულის ტროპარის გალობით იერუსალმის საპატრიარქოს სატახტო დარბაზისკენ გაემართა. მისმა უნეტარესობამ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, რომელშიც აღნიშნა წმინდა მოციქულის უმნიშვნელოვანესი როლი იერუსალიმის ეკლესიის ჩამოყალიბებაში.

შემდეგ, ტრადიციისაებრ, პატრიარქმა თეოფილემ იაკობ მოციქულის ტაძრის გასაღები შესანახად მის მამასახლისებს ახალი ვადით გადასცა და აკურთხა ისინი.

ზეიმის დასასრულს სსკგ-ს თავმჯდომარე და მისი თანმხლები პირები მისმა უნეტარესობამ ტრაპეზზე მიიწვია, სადაც იერარქების თბილი და გულითადი ურთიერთობა გაგრძელდა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89773/